# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 90

„29" მარტი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №2ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს №2ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის №24.473.502 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს №2ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.010) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი N2ბ (საკადასტრო კოდები: N01.11.12.006.010)

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული და ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თინათინ მაჩაბელი | 59001066118 | სართული 2, ბინა N85 | 17.08 | 01.11.12.006.010.01.085 |
| 2 | ლევან გიორგაძე | 01001077271 | სართული 1 | 17.91 | 01.11.12.006.010.01.502 |
| 3 | ნინო სისაური | 01001033154 | სართული 1 | 14.18 | 01.11.12.006.010.01.504 |
| 4 | ნანი სამხარაძე | 01001032981 | სართული 3, ბინა N30 | 17.14 | 01.11.12.006.010.01.030 |